ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №962777

ნომერი: AR1169615

თარიღი : 17.10.2013

გაცემის თარიღი : 24.10.2013

გაცნობის თარიღი : 24.10.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 , (ნაკვეთი N1/95) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სვანიძე პ/ნ 01025011374
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 16 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2010 წლის 29 ოქტომბერს #01/2439 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში , სექტორი ნაძალადევი, მექანიზაციის ქუჩა #1–ში შპს „ცისკარის 2008“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საწყობის, ავტოსამრეცხაოს და ავტოტექმომსახურებოს ობიექტის არქიტექტურული პროექტი და აღნიშნულზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1. ამჟამად თქვენ ითხოვთ ინდივიდუალურად თითოეული ობიექტის მშენებლობის წარმოების მიზნით მათ ეტაპებად გაყოფას და ვინაიდან თქვენს მიერ აღნიშნული მშენებლობა არ არის დაწყებული , როგორც სხვა ბლოკებისათვის ისე ამ კონკრეტული შემთხვევისათვის (I ბლოკისათვის) გსურთ I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობების (ავტოსამრეცხაოების) განთავსებას. საჭიროა მოითხოვოთ 2010 წლის 29 ოქტომბერს #01/2439 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის აქტების, მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/2666–1 გაუქმება (2010წ. 06. მაისს სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები # 645 და მასში შეტანილი ცვლილების შენარჩუნებით), რისთვისაც უნდა აირჩიოთ სამართლებრივი საკითხები ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება–წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის შესაბამისობით და შეავსოთ მოცემული ველები. ზემოაღნიშნული აქტების გაუქმების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხი დააყენოთ I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობების (ავტოსამრეცხაოების) განთავსებასთან დაკავშირებით, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება შემდეგი: ავტოსამრეცხაოების სექციები საჭიროა განთავსდეს ისე, რომ მათში მიმდინარე მომსახურება არ აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან, ხოლო ტერიტორიასთან კავშირი უნდა განხორციელდეს მეორადი გზის მეშვეობით. შესაბამისად, საჭირო იქნება წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით დამუშავებული მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის სქემა, რის შემდეგაც არქიტექტურის სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს მოცემულ საკითხზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.